

გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში-საქართველოში
არსებული პრაქტიკა და პრობლემის გადაჭრის გზები

თაია გოგოლიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი, როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თაია გოგოლიძე

21.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება ისეთი საკითხი, როგორიცაა დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, უფრო კონკრეტულად კი საუბარი იქნება სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე, გამომწვევ მიზეზებზე და საქართველოში არსებულ პრაქტიკაზე.

განვიხილავთ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას, რომელთა საშუალებითაც რეგულირდება შრომითი ურთიერთობები. ვისაუბრებთ, შრომითი ურთიერთობის ისეთ ეტაპზე, რაც კანონმდებლობის მიღმაა დარჩენილი, როგორიცაა მაგალითად ვაკანსიის შესახებ განცხადება და გასაუბრების ეტაპი. შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე კი დავინახავთ თუ რა განსხვავებაა ქართულ კანონმდებლობასა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობას შორის, წინასახელშერკულებო ურთიერთობის რეგულაციების კუთხით.

საგულისხმოა, რომ კვლევაზე მუშაობისას გამოიკვეთა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური მიმართულება „სექსუალური შევიწროება“. პრობლემური იმდენად, რამდენადაც სექსუალური შევიწროება, როგორც სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ცალკე აღებული ფორმა არ არის კანონმდებლობით განმარტებული და იგი ექცევა ზოგადად შევიწროების ცნებაში. გარდა საკანონმდებლო რეგულაციისა, პრობლემას ასევე ქმნის ლატენტური ხასიათიც, რომელიც ქმნის იმის ილუზიას, რომ საქართველოში არ გვაქვს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ფაქტები.

აღნიშნული საკითხები წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ძირითად თემებს, რომელთა განხილვაცა და ანალიზიც მოგვცემს შესაძლებლობას დავინახოთ საკითხის პრობლემურობა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება რეკომენდაციების შემუშავება და პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დისკრიმინაცია, შრომითი ურთიერთობები, გენდერი.

Abstract

Discrimination in labour relations, particularly discrimination on the grounds of sex-its grounds and local practice of Georgia will be discussed in subsequent master's thesis.

National and international legislation will be reviewed which regulate labour relations. Phases that are beyond regulation, such as application on vacant position and interview will be discussed as well. Based on comparative-legal analysis the difference between Georgian and foreign legislation concerning pre-agreement relations will be brought to light.

It is worthwhile to mention that while working on research one of the most problematic domains of sexual discrimination – sexual harassment was observed. Problematic to the extent that sexual harassment is not defined by legislation as distinct form of sexual discrimination and it falls within the frames of harassment generally. Excluding legislative regulations the issue dwells in its unmanifested character, which fabricates an illusion that occupational sexual harassment is absent in Georgia.

Reviewing and analysing aforementioned issues that are fundamental topics of the thesis will provide an opportunity to grasp the difficulty of the issue and based on analysis it will become possible to elaborate recommendations and provide solutions.

Keywords: Discrimination; labour relations; gender